[...]ლიწადი მესამე

ფასი 7 კაპ.

კვირა, 19 მარტი. 1917 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ხელის მოწერა და ცალკე გამოსაცემი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 30 კ., უკანასკნელზე—20 კ. ... გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 63 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 63

კვირას, 19 მარტს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ძვირფას და დაუვიწყარ დედის

ნინო გრიგოლის ასულის
კანდაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ განსვენებულის გულდამწვარი შვილები სერგო და ვანო იოსების ძენი კანდაშვილები, ძმა გიორგი გრიგოლის ძე და რძალი მარიამ პავლეს ასული აჯიაშვილნი.

წირვა დაიწყება 10 საათზე, წირვის შემდეგ პანაშვიდი.

((1—575—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

პარტიის მთავარი კომიტეტი.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში.

მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშაოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფხო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი
სამეურნეო-სასურსათო ბიურო

აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მის განკარგულებაშია 400 კაცი, რომელნიც მზათ არიან მიეშველნენ სოფელს, ე. ი. აასრულონ ყველა სამუშაონი მინდვრად და ბოსტნებში, ტეხნიკურად გადაამუშაონ ხილი და ბოსტნეულობა. ვისაცა სჭირიათ მუშები და მათვის ბინაც ექმნებათ, სთხოვს მიმართონ „საქართველოს" რედაქციას ან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტს სათავად-აზნაურო ბანკით ახალს შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.). მუშებს ხელმძღვანელობას გაუწევენ სპეციალისტი აგრონომები.

ვსთხოვთ ახალგაზრდობას, ვისაც სურს მიეშველოს სოფელს, ჩაეწეროს ამ სამუშაო ორგანიზაციაში.

ქ. თბილისის
ყოველი ტიპისა და უწყების სკოლების
ქართველი მასწავლებელნი მოწოდებულნი არიან

კვირას, 19 მარტს, საღამოს 7 საათზე,

თბილისის ქართული გიმნაზიის შენობაში აწინდელი მომენტის გამო მოსალაპარაკებლათ. კრების საგანია: ახალ მთავრობისადმი მისასალმებელი რეზოლიუცია და სრულიად საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირის პროექტი.

თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა

(2—621—2) კორპორაცია.

თბილისის საგუბერნიო
სასურსათო კომისარიატისაგან

თბილისის საგუბერნიო-სასურსათო კომისარიატის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ქ. თბილისში არსებულ საკონდიტერო დაწესებულებათ წარმოადგინონ კომიტეტში (პეტრე დიდის ქუჩა, კანცელარია ყოფილი ნამესტნიკისა, თბილისის საგუბერნიო-სასურსათო კომიტეტი) ცნობები შესახებ იმისა, თუ რამდენი აქვთ მათ შენახული: ფქვილი, ერბო, კვერცხი, შაქარი (ფხვნილი და თავი) და თაფლი. აგრეთვე უნდა ეცნობოს კომისარიატს რაოდენობა რძისა, რომელიც სჭირდება თითოეულ საკონდიტეროს კვირეში და ვინაობა რძით მოვაჭრეებისა.

ეს ცნობები წარმოდგენილ უნდა იქმნას სამის დღის განმავლობაში ამ განცხადების გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებიდან.

თავმჯდომარე საგუბერნიო-სასურსათო კომიტეტისა ნ. ზ. ელიავა.

(3—618—3)

თბილისის სამეურნეო ბანკის
გამგეობა

აცხადებს, რომ წლიური მორიგი კრება სამეურნეო ბანკის წევრთა, ნაცვლად 10 მარტს დანიშნულის კრებისა, რომელიც არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, დაინიშნა კვირას, 26 მარტს, დილის 10 საათზედ, ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა).

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება საბჭოსი წლიურ ანგარიშისათვის, 2) მოხსენება საბჭოსა თვის მოქმედებისათვის, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4) ანგარიში 1916 წლისა, 5) მოხსენება წესდების § 4 და § 17—2, 3, 4 და 5 მუხლის შეცვლისათვის და 6) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ვ. რ. ყიფიანისა, რომელსაც ვადა გაუვიდა, საბჭოს დეპუტატებისა ნაცვლად ი. ვ. ს. მაჩაბელისა, რომელსაც აგრეთვე ვადა გაუვიდა და გარდაცვალებულ ა. თ. ყიფშიძისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

(3—623—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი მოთავსებულია ახალ ქართულ ბანკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა. ვისაც საორგანიზაციო საქმეები აქვს, პირდაპირ იქ უნდა მიმართოს

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოთი—5—9-მდე. შემოწირულებას მიიღებენ როგორც აქ, ისე „საქართველოს" რედაქციაშიაც.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

კვირას, 19 მარტს, გაიმართება

აშუღების საღამო

სახალხო პოეტ—მომღერალის **აზირას** მეთაურობით. შეასრულებენ სხვათა შორის, აზირას რევოლიუციონურ სიმღერებს. მონაწილეობენ თბილისის საუკეთესო საზანდრები.

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საღამოზე შესვლა უფასოა.

(1—624—1)

ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა

20 მარტიდან.

ორშაბათს
საღამო გრიშაშვილისა

სამშაბათს
ქართული წარმოდგენა.

ოთხშაბათს
პროფესორ რაიდნოვის
საღამო

ხუთშაბათს
ოპერეტა
ბენეფისი მირაევისა

დასაწყისი: კონცერტებისა საღამოს 9 საათზე.
წარმოდგენებისა $8\frac{1}{2}$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ. (1—625—1)

ვინ დაიცვას საქართველოს უფლება და თავისუფლება!

საქართველო სამშობლოა ყოველი ქართველის, გლეხია იგი თუ აზნაური, მუშაა თუ ბურჟუა, ერის კაცია თუ სამღვდელო პირი, სოციალდემოკრატია იგი, ფედერალისტი თუ ნაციონალ-დემოკრატი, დედაკაცი თუ მამაკაცი. ეს ყოველი ქართველის და მთელი ქართველობის საერთო სამშობლო ას ჩვიდმეტი წელიწადია რაც უფლება ახდილია. ამ სამშობლოსთან ერთად უფლება ახდილია ყოველი ქართველი და მთელი ქართველობა, როგორც ეროვნება. ამ სამშობლო ქვეყნის უფლების აღდგენა ამავე დროს უფლების აღდგენაა მთელი ქართველობისა საერთოდ და თითეული ქართველისა ცალკეთ. რადგან საქართველო მთელი ქართველობის სამშობლო ქვეყანაა, რადგანაც იგია ერთნაირი სამშობლო ყოველი ქართველისა, ვისი საქმე უნდა იყოს საქართველოს უფლების დაცვა, ვინ უნდა იზრუნოს მის თავისუფლების მოსაპოვებლად, ვინ უნდა გამოიღოს მისთვის თავი?

მარტო გლეხმა?

და დანარჩენებმა კი: ქართველმა აზნაურმა, ქართველმა მუშამ, ქართველმა ბურჟუამ გლეხს ზურგი შეაქციოს და დახმარების ნაცვლად ხელი შეუშალოს?

ან მარტო ქართველმა თავად-აზნაურობამ?

და დანარჩენებმა კი: ქართველმა გლეხმა, ქართველმა მუშამ და ბურჟუამ თავად-აზნაურობას ქვა და გუნდა მიაყაროს და ხელის შეწყობის მაგივრად შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს?

ან მარტო ქართველმა მუშამ?

ხოლო დანარჩენებმა: გლეხმა, აზნაურმა, ბურჟუამ მუშაზე იერიში მიიტანოს და ხელის მომართვის სანაცვლოდ, ხიდი ჩაუტეხოს?

ან მარტო ქართველმა ბურჟუამ?

ხოლო დანარჩენთა: გლეხის, აზნაურის და მუშის კოალიციამ „ჰკა მაგასაო" დასძახოს და მიშველების მაგიერ კისერი მოატეხვინოს?

ან მარტო სოციალ-დემოკრატმა?

ხოლო დანარჩენებმა: ფედერალისტებმა და ნაციონალ-დემოკრატმა იმის მაგივრათ, რომ სოციალ-დემოკრატს გვერდში ამოუდგეს, მტრად გაუხდეს და გაებრძოლოს?

ან მარტო ფედერალისტმა?

და დანარჩენებმა: სოციალ-დემოკრატმა და ნაციონალ-დემოკრატებმა მას წინააღუდგნენ და ძალა-მეცადინეობა გაუბათილონ?

ან მარტო ნაციონალ-დემოკრატმა?

ხოლო დანარჩენებმა: ფედერალისტმა, სოციალ-დემოკრატმა, იმის მაგიერად, რომ მას მიჰყვნენ სამშობლოს უფლების დაცვასა და მის თავისუფლების აღდგენაში, ზურგიდან მახვილი ჩასცენ, სამშობლოც დაივიწყონ და თავის თავიც?!

საქვეყნო საქმე როდი გაკეთდება, თუ მას მარტო ერთი კლასი, წოდება ან პარტია გამოექომაგა, ხოლო დანარჩენი განუდგნენ. საქართველოს უფლება საქართველოს ყოველმა შვილმა უნდა დაიცვას. საერთო სამშობლოს თავისუფლება ყოველმა ქართველმა და მთელმა საქართველომ უნდა გამოსჭედოს. სამშობლოს გარშემო ყველა უნდა შემოკრბეს, ყველა წოდების, პარტიის, ყველა ხნოვანობის და სქესის ქართველი. ყველა უნდა შერიგდეს, თანხმობა და ერთობა უნდა ჩამოვარდეს. ქართველი გლეხი, ქართველი მუშა, ქართველი ბურჟუა, ქართველი აზნაური, სამღვდელო პირი თუ ერის კაცნი, ქართველი მაჰმადიანი თუ ქართველი მართლმადიდებელი, ქართველი კათოლიკე თუ ქართველი ებრაელი, ერთი სიტყვით ყველა, მთელი ქართველობა, რომელსაც ცად საქართველო თავს ახურავს, უნდა ერთკაცივით ადგეს და ერთის ფიქრით და ზრახვით განიმსჭვალოს, სამშობლოს უფლების აღდგენის ფიქრით. აი ვინ უნდა დაიცვას საქართველოს უფლება! ჩვენი მოწოდება ყოფილა მთელი ქართველობის გაერთიანება სამშობლოს დროშის გარშემო, ყველა პარტიების თანხმობა საქართველოს უფლების აღსადგენად. ამ მოწოდებით და ლოზუნგით გამოვდივართ ყოველგან, სიტყვით თუ კალმით, ყოველ საჯარო კრებაზე. ვისაც სამშობლო სწამს და საქართველოს თავისუფლების აღდგენა არსებობის პირველ მიზნად დაუსახავს, სხვანაირად ვერც მოიქცევა. ამგვარ ერთობას და თანხმობას გაურბოდნენ და დღესაც გაურბიან ისინი, ვისაც სამშობლოს იდეა არ სწამდათ და დღესაც არ აღიარებიათ, ვინც ერსა და ეროვნებას არაფრად სთვლიდა და ცხოვრებაში მარტო კლასებს ხედავდა, ვინც ებრძოდა ეროვნების პრინციპს და ერის უფლების დამცველ პოლიტიკურ გარანტიების შემოღებას, ვინც საქართველოს ავტონომიას ყოველის საშუალებით ებრძოდა. ჩვენსას არ მოვიშლით, კვლავაც ერთობისა და თანხმობისაკენ მოუწოდებთ ყველა პარტიას და მთელ ქართველობას. და ვინც განზე გადგება და ამგვარ ერთობას ჩაშლის, იმას პასუხს აგებინებს ქართველი ერი და საქართველო!

ცილის-წამება და მაბეზღრობა

დროებითმა მთავრობამ სხვა თავისუფლებათა შორის, კრებისა და ყრილობის თავისუფლებაც გამოაცხადა. შეკრებისა და თათბირის თავისუფლება მიეცა ჯარის კაცებსა და ოფიცრებსაც. მთავრობის ცნობით, ესენი მეომრებიც არიან და მოქალაქენიც. ქართველმა ჯარის კაცებმა და ოფიცრებმა, როგორც მოქალაქეებმა, მოისურვეს ამ უფლებით ესარგებლნათ და ერთად შეიკრიბნენ. კრება მიესალმა ახალ მთავრობას, აღფრთოვანებით აუწყა ქართველ მხედართა სურვილი, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდენ ახალ მთავრობისა და ფრონტზე გამარჯვებისთვის. აღნიშნეს: თუ ქართველ მხედართა ერთგულება შეურყეველი იყო წარსულში, ძველ მთავრობის დროს, როდესაც ქართველი ერის უფლება შეუბრალებლად ითელებოდა, დღეს ერთა საერთო თავისუფლების აღიარებისა და განმტკიცების ხანაში რევოლიუციურ მთავრობასა და რუსეთის მხედრობასთან ერთად ქართველი მხედრები ერთი ასად უფრო მხნედ იბრძოლებენო. ჩვენი მოქალაქობრივი და ეროვნული უფლების ცნობა—ახალი სტიმული იქნება ქართველ მხედრობის აღფრთოვანების, სიმტკიცისა და გაუტეხელობისაო.

აი რა თანაგრძნობა, რა გონიერი სიტყვა და სალამი მიუძღვნა ახალ კლუბის დარბაზში ამ ერთი კვირის წინად შეკრებილმა ქართულმა მხედრობამ.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ და მისმა ალტერ-ეგომ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ყველაფერი პირ-უკუღმა შეატრიალეს, ყველაფერი ეს მიჩქმალეს, და თავიანთ მკითხველებს „ერთობის" და „კავკასკი რაბოჩის" ფურცლებზე უთხრეს: ქართველი ნაციონალისტი ოფიცრები რუსეთის ჯარში განხეთქილების ჩამოგდებას ეტანებიან, ირაზმებიან ფარულის განზრახვით სხვათა საწინააღმდეგოთ, ებრძვიან ახალ მთავრობას და კონტრ-რევოლიუციას ხელს უწყობენო. რაც არ იყო ის შესთხზეს. ცილი დასწამეს ქართველ ოფიცრებს და დააბეზღეს რუსეთის საზოგადოებისა და ახალ მთავრობის წინაშე, რომელსაც თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ ცილსა და ჭორზე აგებული დეპეშა გაუგზავნა. ამ საშინელ დროში, როდესაც უხერხულად თქმულ სიტყვას შეუძლება ქვეყნის განადგურებაც მოჰყვეს, ამ ვაჟბატონებმა, საშინელი სიყალბე და ცილისწამება მოახვიეს თავს ქართველ მხედრობას? მკითხველმა დასდოს მსჯავრი ასეთ საქციელს. რად მოხდა ესე? რად დამალეს ამ კრებაზე წარმოთქმული სიტყვების ნამდვილი ხასიათი, რათ არ აღადგინეს ამ კრებისა და მისი შინაარსის სრული ობიექტიურობა? ეს იმიტომ, რომ მხედრებმა, როგორც მოქალაქეებმა, თანახმად ახალი მთავრობისგან გამოცემულ თავისუფლებისა, თავიანთი აზრი უშიშრად გამოსთქვეს ბ-ნ კიტა აბაშიძის კომისარობიდან გადაყენების თაობაზე.

აბა როგორ გაბედეს ქართველმა მხედრებმა და ხმა ამოიღეს მუშათა საბჭოს და სოც.-დემოკრატების გალაშქრეაით გადაყენებულ აბაშიძის სასარგებლოდაო. სადემაგოგიო ნიადაგი ნაყოფიერი იყო და ისინიც ამას არ დაერიდნენ. არის კიდევ ერთი გარემოება: იმ ოფიცერთა კრებაზე, სოციალდემოკრატ ჯარისკაცები და ოფიცრები ხუთიოდე კაცი აღმოჩნდა, და სამას კაცში ვერას გახდნენ და პროტესტით და დაქადნებით დასტოვეს დარბაზი.

შური უნდა ეძიათ და ამ გრძნობამ მუშათა საბჭოს და სოც.-დემოკრატებს ისეთ იარაღისთვის მოაკიდებინა ხელი, რომელსაც ცილის-წამება და მაბეზღრობა ჰქვიან. ეს არის ქართველი მხედრობის დაბეზღება, ამასთან ერთად, როგორც მის თანამოაზრეები—თუ საიდან დაასკვნეს ეს ღმერთმა უწყის—დააბეზღეს ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. ეს არის ერის დაბეზღებაც, საშინელი და სახიფათო მთელის ერისათვის. დამღუპველმა ჰსიხოლოგიამ დაიპყრო ეს ხალხი. დაინგრეს ყველაფერი, გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიასო.

Pereat mundis, განა? იგრძენით პასუხისმგებლობა მომენტისა და თქვენი სამშობლოს წინაშე, ბატონებო!

ხმა აღიმაღლეთ, ქართველებო!

პეტრეს ქალაქში მძლავრად ჩამოირეკა ზარი.

ეს მძლავრი ხმა გაისმა მთელ რუსეთის იმპერიაში.

ამ ზარის ხმამ აუწყა მთელს ქვეყანას, რომ ძირს დაემხო, თვითმპყრობელობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა სანატრელი თავისუფლება-ო...

აქნობამდე დამონებულმა ხალხმა მონობის ბორკილი დაამსხვრია, განთავისუფლდა და მძლავრად შემოსძახა: „გაუმარჯოს თავისუფლებას! ძირს მონობა და თვითმპყრობელობა"-ო...

ეს თავისუფლება ორკეც სიხარულს ჰგვრიდა და ჰგვრის სხვა და სხვა

ეროვნებას, რომელიც რუსეთის თვით მპყრობელობის რეჟიმის დროს, უალრესად იყო დამონებული და ყოველნაირი მოქალაქეობრივი უფლება აყრილი ჰქონდა.

ყველა ეროვნებამ ალღო აუღო ამ დიდებულ ისტორიულ ხანს, შეკავშირდა და შეუდგა ეროვნულ იდეების განხორციელებას..

უკრაინელებმა მძლავრად და ერთსულოვნად დაიგრიალეს: „გაუმარჯოს თავისუფალ უკრაინას! გაუმარჯოს შევჩენკოს—ეროვნულ იდეისთვის წამებულსა“-ო...

ასევე მოიქცა ფინლიანდია, პოლონეთი, ლიტვა და ებრაელებიც კი...

და მათ შორის არ აღმოჩნდა არც ერთი იუდა-გამცემი, თავის ერის მოღალატე!

ვერავინ, არც ერთმა პარტიამ, ვერ გაჰბედა, ეროვნულ მისწრაფების, იდეების წინააღმდეგ გალაშქრება!..

უკიდურეს მემარცხენე პარტიიდან დაწყებული, მემარჯვენეებამდე არ წამოაყენა ლოზუნგი: „ჯერ საამისო დრო არ არის! ჯერ რევოლიუციის გამარჯვება და მერე ეროვნული მოთხოვნილებაო“...

არავინ, ქართველებო, გარდა ჩვენებურ დასელებისა!.. რომლის ლოზუნგი მოგვაგონებს, სტოლიპინ-გორემიკინ-მაკაროვ-მაკლაკოვის წამოძახილებს: „ჯერ სიწყნარე, მერე თავისუფლებაო“.

ამ მოვლენას პასუხი უნდა გასცეს ქართველობამ, მთელმა ქართველობამ!..

ჩვენი დასელები ძალით გვახვევენ თავს, ჩვენ, ქართველებს, ძველის რეჟიმის, თვითმპყრობელების მიერ, ადმინისტრატიულად რუსეთის დანაწილებას...

დასელები გაიძახიან: „კავკასიაში მრავალი ერი ცხოვრობს“-ო!..

ვიცით, ვიცით და არც იქნობამდე უგუნურები ვართ ჩვენ, ქართველები, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტება არ ვიცოდეთ, მაგრამ მიპასუხეთ: **ვინ შეჰქმნა კავკასიის ადმინისტრატიული ერთეული, თუ არ ძველმა თვითმპყრობელობამ?**

საქართველო თავის ტერიტორიით, შეერთებამდე ერთ მთლიან ერთეულს შეადგენდა..

საქართველო, განსაზღვრულ ტერიტორიით და მიჯნებში, უკვდავ 1783 წლის ტრაქტატით შეუერთდა რუსეთს... ჩვენ, ქართველებს, არავითარი საქმე არა გვაქვს მთელ კავკასიასთან!..

და თუ ძალ-მომრეობით, რუსეთის ძველმა თვითმპყრობელობამ, ჩვენს დაუკითხავად, საქართველო, როგორც ისტორიული და ეტნოგრაფიული ერთეული, ერთ კავკასიის ადმინისტრატიულ ერთეულში მოაქცია, ეხლა, როდესაც ძირს დაემხო თვითმპყრობელი და მასთან ერთად იცვლება და ინგრევა ძველი რეჟიმი, წეს წყობილება, ამასთანავე ერთად **უნდა დაინგრეს ძველი რეჟიმის მიერ შექმნილი კავკასიის ადმინისტრატიული ერთეული** და აღვადგინოთ სამართლიანობა, რომელსაც ასე უდიერად ფეხ ქვეშ სთელავდა ძველი პოლიცეური რეჟიმი...

კავკასიის ადმინისტრატიული ერთეული შეჰქმნა პოლიციელმა რუსეთმა მხოლოდ და მარტო იმიტომ, რომ დედამიწის ზურგიდამ სრულიად აღეგავა საქართველოს ხსენებაც კი...

ეს უნდა ახსოვდეთ დასელებს!..

დაბრმავებული უნდა იყოს კაცი, ან განგებ თვალებზე ხელს უნდა იფარებდეს, რომ ამას არ ხედავდეს...

და აი დღესაც ჩვენი დასელები გაიძახიან: კავკასია! კავკასიის ერებიო...

რა შუაშია აქ ქართველი ერი და მთლად საქართველო?

დაეცა ძველი რეჟიმი და მასთან ერთად უნდა დაეცეს ძველი წეს-წყობილება—ადმინისტრატიული დანაწილება!..

იმითაც კი არ კმაყოფილდებიან ჩვენებური დასელები, რომ მთელ კავკასიის ადმინისტრატიულ ერთეულში ათავსებენ საქართველოს (და ამით, რასაკვირველია, აღიარებენ ძველი თვითმპყრობელობის რეჟიმს სამართლიანად), და გაიძახიან: „როგორ შეიძლება საქართველოს თვითმართველობაზე“, ტერიტორიალურ ავტონომიაზე ლაპარაკი, მაშინ, როდესაც ამ ტერიტორიაზე გარდა ქართველებისა სცხოვრებენ სომხები, თათრები და **სხვა ეროვნებაო.**

ჩვენ ვამბობდით, ვამბობთ და ყოველთვის გაბედულად ვიტყვით, რომ არამც თუ ეხლა, ამ ჟამად, არამედ **საქართველოში ყოველთვის** (რუსეთთან შეერთებამდინაც), სცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ოსები, ებრაელები, სომხები, თათრები და სხვა ეროვნებანი მაგრამ, ამის და მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრივ მართველობას და მასთან ერთად ქართველ ერს, ისინი არც როდის არ დაუბრიყვებია; მათთვის არც როდის არ გამოცემულა განსაკუთრებული კანონები, და ყველა ეროვნება თავისუფლადა ჰგრძნობდა თავს.

საქართველოს არ ახსოვს სხვა ერების დევნა და შევიწროება!

რა საბუთი აქვთ ჩვენს დასელებს, რომ დღეს, თავისუფალი ავტონომიური საქართველო, რომელიც დემოკრატიულ პრინციპზე იქნება აგებული, თავისუფალ საქართველოში, რომელშიაც ყველა ეროვნებას, რომელიც სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე მიეცემა კულტურული თავისუფლებანი, სთქვას, რომ თავისუფალ ავტონომიურ საქართველოში, სხვა ეროვნება დაიჩაგრებაო?

არავითარი!..

ნუ თუ მხოლოდ საქართველოში ცხოვრობს სხვა და სხვა ეროვნება? პოლონეთსა, უკრაინასა, ლიტვასა, შვეიცარიასა, ამერიკაში ერთ სახელმწიფოებრივ ტერიტორიალურ ერთეულში არა ცხოვრობენ სხვა და სხვა ეროვნებანი? მაგრამ იმის თქმა, რომ ზემო ჩამოთვლილ ადგილებში, მხოლოდ და მარტო ერთი ეროვნება ცხოვრობს—ეს ხომ მტკნარი სიცრუე იქნება! ეს ხომ განზრახ თვალების დაბრმავება იქნება!..

მაშ გვიპასუხეთ, როგორ ხერხდება იმ ადგილებში, სადაც სხვა და სხვა ეროვნება ცხოვრობს, სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობა და ერთსულოვნად თავისუფალ ტერიტორიალ ავტონომიურ ერთეულის მოთხოვნა?!..

ჩვენ ყოველგვარ დიქტატორობის წინააღმდეგნი ვართ, იქნება ეს დიქტატორობა დასელებისა თუ სხვ. რომელისამე პარტიისა ან ჯგუფისა და ამ მოვლენას სასტიკად შევებრძოლებით.

დასელები საქვეყნოდ სწერენ და გაიძახიან: „მხარი დაუჭირეთ ახალ მთავრობას! დაემორჩილეთ მის განკარგულებასაო, და ამავე დროს თვით დასელები არ ემორჩილებიან ამ დროებითი მთავრობის განკარგულებას!! მათვე პირველად დაარღვიეს თავიანთივე მოწოდება, როდესაც არ დაემორჩილნენ დროებითი მთავრობის ბრძანებას და მოითხოვეს კიტა აბაშიძის გადაყენება. იმათ ჰგონიათ და სწამთ, რომ დედამიწის ზურგზე გარეშე პროლეტარიატისა არა არს რა ქვეყანაზე. მაგრამ ძალიან სცდებიან დასელები. გარდა პროლეტარისა, არის ჩვენს საქართველოში ერი, მშრომელი ერი, რომელსაც ჰქვიან ქართველი, და აი ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ერს, განურჩევლად წოდებისა, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო, მედგრად ამოიღოს ხმა დასელთა დიქტატურის წინააღმდეგ! დაჰგმოს მათი უმგვანო და ანტი-ეროვნული საქციელი. დავანახვოთ ყველას, რომ ჩვენ ნებას არავის მივსცემთ შელახონ ჩვენი ეროვნული გრძნობა, ჩვენი ეროვნული ინტერესი.

მაშ ხმა აღიმაღლეთ, ქართველებო!

თომა მაღაროელი.

ასეთი „ერთობა“?

სახიფათოა ის „ერთობა“, რომელსაც ჩვენი სოციალ-დემოკრატები ამყარებენ ჩვენს ქვეყანაში. სახიფათოა, რასაკვირველია, უწინარესად ჩვენი დაქსაქსული ცხოვრებისათვის. ასეთი დრო, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ყველა სხვა ერებს აერთებს და ერთის გრძნობით და სურვილით იპყრობს. ჩვენი სოციალდემოკრატები კი თავიდანვე აუმხედრდნენ მთელ ქართველ ერს და რევოლიუციის პირველ დღიდანვე, როგორც წინეთაც, ქართველი ერის წმინდათა წმინდა მისწრაფებებს სასტიკ ომს უცხადებენ. ჩვენი სოციალდემოკრატები ამ ჟამად ყველასთან შეთანხმებულნი და შერიგებულნი არიან, სომხის შოვინისტებისა ხომ მათ განსაკუთრებული სიყვარული აქვთ. ხატისოვი და ჟორდანია სინონიმებად გახდა. იმათ უკვე აღარავინ არჩევს ერთმანეთისაგან!.. სამწუხაროა ასეთი ტაქტიკა, სამწუხარო და თან სახიფათო ჩვენის საქმისთვის და აგრეთვე საერთო სარევოლიუციო საქმისთვისაც.

ასეთი ტაქტიკა არღვევს და შლის თავისუფლების საქმეს. ჩვენი სოციალდემოკრატები სხვებს მოუწოდებენ—ყოველივე დაივიწყეთ და მთელი თქვენი ძალ-ღონით რუსეთის რევოლიუციის საქმეს ემსახურეთო. თვით კი სპობენ წერის თავისუფლებას. იდეიურ მოწინააღმდეგეთ კრებებზე არ ალაპარაკებენ, კიდეც სცემენ და კრებიდან ძალით აძევებენ... თავისუფლებას ემსახურებიან?.. სამწუხაროდ არა. იმ დათვის მაგალითს უფრო მისდევენ, რომელმაც თავის მეგობარ მეუდაბნოეს უგუნური სიყვარულობით თავი გაუტეხა.

რევოლიუციას განამტკიცებს მხოლოდ ყველა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანება და შეთანხმება. ცუდს სამსახურს უწევს თავისუფალ რუსეთს, ვინც ამ ძალებს ქსაქსავს და შლის. ხატისოვი და ჟორდანია მარტო ვერ დაამყარებენ თავისუფლებას ვერც რუსეთში და ვერც ჩვენში. კიდევ სხვა ძალებია ამისთვის საჭირო. ჩვენი დასელები ყველაზე გაბატონებას სცდილობენ, არავის ანგარიშს არ უწევენ, არავის არაფრად არ აჩნევენ. გაბატონდენ თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში სომხებთან ერთად და თავის თავი მსოფლიოს მხსნელად მოაქვთ და სხვები კი რევოლიუციის მტრად და მოღალატედ? მათი გაზეთი „ერთობა“ გამუდმებით ქართველ ნაციონალისტების ღალატის შესახებ სწერს. ვითომც ქართველი ეროვნული ჯგუფები ღალატობენ თავისუფლების საქმეს იმიტომ, რომ ისინი საერთო თავისუფლებასთან ერთად თავის ეროვნულ მიზნებს არ ივიწყებენ! ვისთვის არის საჭირო ასეთი დემაგოგია? იქნებ ეს გამოსადეგი იყოს ჩვენ სოციალდემოკრატებისთვის ძველ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე თავის თვითნებობისა და ძალმომრეობის გასამართლებლად, მაგრამ საკვირველია ასეთი საშუალებებისთვის მიმართვა? „ერთობა“ რომ სწერს—ქართული ეროვნული პარტიები რუსეთის რევოლიუციის საქმეს ღალატობენ და კონტრ-რევოლიუციას ამზადებენო, რამდენად ეს მართალია, მათ კარგად უწყიან, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს საზიზღარი ცილისწამება სხვებმა ჭეშმარიტებად მიიღონ? ეს არის თავისუფლების სამსახური? ეს არის „ერთობა“?

ვინ.

დეპეშა

ლიტვის სამეფოს აღდგენა

პეტროგრადი. პეტროგრადში დაარსდა ლიტველთა ეროვნული საბჭო, რომელიც ლიტვის პოლიტიკურს, ეკონომიურს და კულტურულ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგება.

პეტროგრადში ცნობა მოვიდა, გერმანეთმა ლიტვის სამეფოს აღდგენა გამოაცხადაო. ამ ამბავს პეტროგადში მყოფი ლიტველები გულგრილად შეხვდნენ. ახლო მომავალში პეტროგრადში მოიწვევენ ლიტველთა კონფერენციას, რომელზედაც ლიტველი ერის წარმომადგენელნი განაცხადებენ, რომ ლიტვას სრული უფლება აქვს ეროვნული თვითმმართველობისა და იგი თვითონვე გადასწყვეტს ყველა პოლიტიკურ საკითხებს და მის მოწესრიგების საქმეს.

დეპუტატთა შეთანხმება

პეტროგრადი. რუსეთში მოსახლე ეროვნებათა წარმომადგენელ სათათბიროს დეპუტატებს საჭიროდ უცვნიათ გაერთიანება საერთო პლატფორმის შესამუშავებლად, რომელშიაც გამოთქმული იქნება ამ ეროვნებათა აზრი დამფუძნებელ კრების განსახილველ საგანთა და თავისუფალ რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილების თაობაზე.

სტოლიპინის ძეგლი

კიევი. საერთო დაწესებულებათა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა სტოლიპინის ძეგლი, რომელიც ქალაქის საბჭოს მოედანზეა აგებული, მიწასთან გაასწორონ.

გლეხთა კავშირის მოწოდება

პეტროგრადი. სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა წევრების მიერ დაარსებულმა გლეხთა კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს რომ: „აღარ არის რუსეთში წოდებრივი განსხვავება, არის მხოლოდ და მარტო **თავისუფალი მოქალაქე** გლეხთა სულისკვეთებაა—მიწა გარდაიქცეს ხალხის კუთვნილებად, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება ჩადგება იმ კალაპოტში, როგორც ეს სასურველია მშრომელ ხალხთათვის. მოვუწოდებთ მოქალაქე გლეხებს: მოითხოვეთ რესპუბლიკა! დაიცავით წესიერება და გაუმაგრეთ მხარი დროებითს მთავრობას, რომელიც ამ ჟამად გაჩქარებული მუშაობს დამფუძნებელ კრების მისაწვევად, ეს კრება განამტკიცებს ისეთს ცხოვრებას, რომელიც შეესაბამება ხალხის სურვილებს“. ხელს აწერს 25 გლეხი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

აღმასრულებელ კომიტეტის ბიურო

პეტროგრადი. მუშათა ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოსთან არსებული სამარხი კომისსია, აუწყებს მოქალაქეთ, რომ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვა დანიშნულია 23 მარტს. ვინაიდგან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო დატვირთულია აუარებელ საქმეებით, ამიტომ გადაწყვეტილია აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობიდამ გამოიყოს ბიურო, 6 კაცისაგან შემდგარი, რომელნიც წინასწარ განიხილავენ საქმეებს და წარუდგენენ საბჭოს დასამტკიცებლად. ამ ბიუროში წევრებად უნდა იყვნენ არჩეულნი დიდი—ქარხანა-სამრეწველო ადგილებიდან.

პეტროგრადში ობერ-პროკურორის ჩამოსვლა

სინოდის ობერ-პროკურორი ლვოვი მოსკოვიდან პეტრეს ქალაქში ჩამობრძანდა.

კერენსკი ფინლიანდიაში

იუსტიციის მინისტრი კერენსკი 15 მარტს საღამოთი, მატარებლით მიემგზავრება ქ.ქ. სვეაბორგში და ჰელსინგფორსში.

ჯაშუშების ჩამოსვლა

რადგანაც გაზეთების ცნობით, ქ. ტორნეოდან დიდძალი ჯაშუში მოილტვის რუსეთში, ამიტომ სამხედრო კომისია აცხადებს, ჩემ მიერ ზომებია მიღებული ჯაშუშთა წინააღმდეგო.

პოლონეთის საქმეების ლიკვიდაცია

ყოფილი სათათბიროს წევრი ალ. ლედნიცკი დაინიშნა პოლონეთის საქმეების სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ.

უცხო სახელმწიფოთა პრესის ცენზურის გაუქმება რუსეთში

საშინაო საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ამიერიდგან გაუქმებულია ცენზურა იმ ჟურნალ-გაზეთებისა, რომელიც უცხო სახელმწიფოებიდან იგზავნება რუსეთში.

ძველი მთავრობის მოხელეთა დაპატიმრება

პეტროგრადი. სამხედრო მინისტრის განკარგულებით მთავარ ბანაკში დააპატიმრეს და ჩამოიყვანეს პეტროგრადში: ღენერალი საზონოვი, პოლკოვნიკი გრეკოვი, კაპიტანი ბარონი უნგერნ-შტენბერგი და რწმუნებულის თავმჯდომარის თანაშემწე, დიდი მთავრის ბორის ვლადიმერის ძის პირადი მდივანი, მოლარე ბ. შეკი.

„ინვალიდთა“ დადგენილება

შესდგა მრავალრიცხოვანი კრება ინვალიდთა. კრებამ მსჯელობა იქონია სოფლის აჭიროებაზე. მოლაპარაკეებმა ის აზრი გაატარეს, რომ საჭიროა, დაუყონებლივ თავთავიანთ სოფლებში გაემგზავრნენ ინვალიდები, მოჰფინონ სოფლად ის ამბები და ცვლილებანი, რაც პეტროგრადში მოხდა; განამტკიცონ სოფლად ის აზრი, რომ საჭიროა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ საჭიროა მტრის დამარცხება და ბრძოლა გამარჯვებამდე, რათა ახალმა რუსეთმა თავისუფლება შეინარჩუნოს. კრების გათავებამდე, მოვიდა იუსტიციის მინისტრ კერენსკის წარმომადგენელი, რომელიც კრებას კერენსკის სახელით მიესალმა. მის სიტყვას ხალხი „ვაშა“-ს ძახილით მიეგება.

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით გაანთავისუფლეს ომსკის გუბერნატორი კოლობოვი, ვიცე-გუბერნატორი კნიაზევი და სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე გდლიჩკო.

რუსეთში მოსახლე ეროვნებათა დეპუტატებმა საჭიროდ სცნეს შეერთება, რათა ერთად შეიმუშაონ პლატფორმა, რომელიც გამომხატველი იქნება ამ ერთა აზრებისა მომავალ დამფუძნებელ კრების მოხსენების და სახელმწიფოს მომავალ წეს-წყობილების შესახებ.

სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარემ მისალმების მრავალი დეპეშები მიიღო. დეპეშები გამოგზავნილია ნეიტრალ და მოკავშირე სახელმწიფოთა სხვა და სხვა ორგანიზაციებისაგან და პირთაგან; სხვათა შორის დეპეშებია ნაციონალ-ლიბერალურ ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტისა, საფრანგეთიდან, შანხაიდან ექიმ სუნიატსენისა, ჩეხელების სოციალისტურ პარტიისა, არგენტინის რესპუბლიკისა, უკრაინელთა ფედერაციისა, შეერთებულ შტატებისა, პარიზის და ლიონის პოლიტიკურ ემიგრანტებისა და სხვათა.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი დადგენილება, რომ მუდმივ მთავრობის დადგენამდე მინისტრთა საბჭოს ეწოდებოდეს დროებითი მთავრობა, სამინისტროთა საქმეების გამგეს ეწოდოს დროებით მთავრობის გამგე, სამინისტროთა გამგის თანაშემწეთ ეწოდოთ—დროებით მთავრობის საქმეთა გამგის თანაშემწენი, ხოლო მინისტრთა კანცელარიას კი დროებით მთავრობის კანცელარია.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომ სასურველია დაარსდეს სანატორიუმები განთავისუფლებულ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის.

პოლტავაში 12 მარტს გამარჯვების ფონდისათვის ფულს აგროვებდნენ. შეაგროვეს 80 ათასი მანეთი.

ნოვგოროდში ჯარმა ახალ მთავრობას ერთგულება შეჰფიცა.

რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვა

დროებითი მთავრობა იტყობინება: ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო, რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვა 23 მარტს მოხდებაო. ეს ცნობა ნამდვილი არ არის. მათი დაკრძალვის დღე ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ამ დაკრძალვისათვის საჭირო სამზადისს დრო უნდა და 23 მარტამდე ვერ მოესწრობაო.

ოლდენბურგის პრინცის დეპეშა

დროებით მთავრობას მინისტრ-პრეზიდენტ თ-დ გ. ე. ლვოვს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „გიცხადებთ, რომ მზად ვარ მთელის ძალღონით მხარი მივცე დროებითს მთავრობას და მათ მიერ გამოცხადებულ რეფორმათა გეგმას ჩემს მხურვალეთ საყვარელ ხალხისა და ძვირფასი სამშობლოსათვის. ოლდენბურგის პრინცი პეტრე“.

უმარკო წერილები ჯარისკაცებს

დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 2 იანვარს გამოცემული განკარგულება, რომლითაც ბრძოლის ველზე მყოფ მეომართა სახელობაზე გასაგზავნ წერილებს უმარკოდ არ ღებულობდნენ, გაუქმდესო.

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე

გენერალ ჩემიშინს უპოვნეს წერილები მარიამ პავლეს ასულისაგან ბორის ვლადიმერის ძესთან და რომანოვთა საგვარეულოს სხვა წევრებთან მიწერილი. ამ წერილებში ნათქვამია, რომ ძველი რეჟიმის აღდგენა მხოლოდ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს შეუძლიაო.

უწმინდესი სინოდი

უწმინდეს სინოდს არ დაითხოვენ, სანამ დამფუძნებელ და საეკლესიო კრებას არ მოიწვევენ.

თავის მოკვლა

ლუგანსკში დატუსაღებულმა ჟანდარმთა როტმისტრმა თავი მოიკლა.

დიდ მთავარ პავლეს ასული მარიამი

სამართლის მინისტრის ა. თ. კერენსკის განკარგულებით თავის სახლში დაატუსაღეს დიდ მთავარ პავლეს ასული მარიამი. დაატუსაღეს აგრედვე გენერალი ჩემიკინი, პოდპოლკოვნიკი ტულუზანოვი და სამხედრო მოხელე კოტელნიკოვი. ესენი კისლოვოდსკიდან პეტროგრადს გაისტუმრეს.

თ-დ ანდრონიკაშვილის დატუსაღება

16 მარტს პეტროგრადში ჩაიყვანეს მოსკოვში დაპატიმრებული ცნობილი აფერისტი თ-დი ანდრონიკაშვილი.

ნაბოკოვის დანიშვნა

დროებითმა მთავრობამ კავკასიის მეფის ნაცვლის წარმომადგენლის მილიუტინის მაგიერ კომისარად დანიშნა ნაბოკოვი.

მასწავლებელთა პატიება

სახალხო განათლების მინისტრმა გამოაცხადა: სახალხო განათლების უწყებაში მყოფთ და ძველი მთავრობის მიერ ადმინისტრატიულად, დისციპლინარულ თუ სასამართლოს წევრთ პოლიტიკურ რწმენისათვის დასჯილთ უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ დაუბრუნდნენ თავის თანამდებობას, თუ კი თავისუფალი ადგილები აღმოჩნდება.

სახალხო განათლების მინისტრი **მანუილოვი.**

ომის დეპეშები

მთავარ ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. 17 მარტი. ოფიციალი. ს. გოლდოვიჩის რაიონში (ბარანოვიჩიდან 20 ვერსზე მდებარეობს), ღამით 16 მარტს რუსებმა გაზი გამოუშვეს და იერიში მიიტანეს. მასთან ერთად საარტილერიო სროლა ასტეხეს მოშხამული ყუმბარებით. რუსები ვერას გახდნენ. ს. მარტინოვკასთან, ოგინის არხზე, მტერმა იერიში მოიტანა რუსთა პოზიციებზე. ძლიერი საარტილერიო ცეცხლით თითქმის დაანგრია თხრილები, მტერმა კიდეც აიღო ერთი ნაწილი, მაგრამ რუსებმა კონტრიერიშით უკუჰყარეს. დანარჩენს ფრონტზე სროლაა.

რუმინეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა თარეშია. ს. ბურკას რაიონში, ფოქშანის 35 ვერ. რუსებმა მტრის თვით-მფრინავი ჩამოაგდეს.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა თარეშია.

მფრინავთა მოქმედება. რუსთა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ტულჩას.

დეპეშები

([illegible] კორესპ.)

გორი. [illegible] დეპეშებისა, რომლებიც გაეგზავნათ როძიანკოს, ლვოვს და კერენსკის.

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კრება მთელის გორის მაზრისა ქ. გორიდან ერთხმად მიესალმება დიდებულ მოქალაქეს განახლებულ რუსეთისას. ქართველებსა სწამთ, რომ მალე აღდგენილ იქმნებიან ძველ, ისტორიას ჩაბარებულ, მთავრობის მიერ გაქელილნი უფლებანი საქართველოსი. სურვილს გამოსთქვამენ დაუყოვნებლივ დანიშნულ იქმნეს კავკასიის კომისარად ივანე (კიტა) აბაშიძე, რადგან კავკასიის კომისარებ შორის მარტო აბაშიძე იქნება გამომხატველი ქართველ ერის იმედისა და მისთა სურვილთა დამაკმაყოფილებელი.

გორის კომიტეტი.

ბორჯომი. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბორჯომის განყოფილებას წევრთა საგანგებო კრებას 17 მარტს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნია იუსტიციის მინისტრის კერენსკისათვის: კრებამ ერთხმად დაადგინა პროტესტი გამოაცხადოს ქართველ ერის ნამდვილ საჭიროებათა გამომხატველის კიტა აბაშიძის გადაყენების გამო და მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნია მოითხოვოს, რომ ის დანიშნულ იქმნეს კომისარიატში.

დამატება არ გამოვა

რედაქცია ამით აუწყებს პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას, რომ საკვირაო ნომერს თან აღარ მიჰყვება სურათებიანი დამატება. მიზეზი ქაღალდის უქონლობა.

ახალი ამბავი

✦ **წირვა სიონში.** დღეს, მარტის 19 სიონის საკათედრო ტაძარში მწირველი ბრძანდება საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდე. თანამწირველებად ბრძანდებიან ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, არქიმანდრიტი და სამღვდელონი თბილისისა. მგალობლებად იქმნებიან: გუნდი ჩარკვიანისა, მოწაფენი ს მინარიისა და საეპარქიო სასწავლებლისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

✦ **გენერალ ბარათაშვილის დეპეშა.** თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა მიიღო გენერალ ბარათოვისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა:—„გულითადად ვწუხვარ, რომ უმწვერვალესად მამაცნი ოფიცერნი ქართველ ცხენოსანთა რაზმისა როტმისტრი თავადი ავალიშვილი, შტაბს-როტმისტრი დოლიძე და კორნეტი თუხარელი, ოსმალთა დევნით გატაცებულნი,—აქამდის არ დაბრუნებულან. მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ უფალი ღმერთი კვლავ დაუბრუნებს საქართველოს ამ მამაც ვაჟკაცთ.

✦ **თბ. დეპუტატების საბჭომ** დროებითს მთავრობას, პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს და დეპუტატს კ. ჩხეიძეს დეპეშით პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ ვითომ ქართველი ოფიცრები დროებითის მთავრობის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ და ეს კი ჯარში ეროვნულ განცალკევებას გამოიწვევსო. საბჭოს აზრით, სანამ ახალი წესწყობილება არ განმტკიცდება და დამფუძნებელი კრება არ იქმნება მოწვეული, პირდაპირ შეუწყნარებელია, აფიცრები სეპარატიულ ნაციონალურ ლოზუნგებით გამოვიდნენ, რადგან ამით შეიძლება რუსეთის ჯარის გულისყური რევოლუციის საქმეს მოშორდესო.

✦ **სასურსათო საქმე.** თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ცნობათა მიხედვით, ჩრდილო-კავკასიაში სურსათის შესაძენად გაცხარებული მუშაობაა იქ მყოფ ყველა კუთხის წარმომადგენლებისა. სურსათის შეძენის საქმე გადავიდა ხალხის მიერ არჩეულ სასურსათო კომიტეტების წარმომადგენელთა ხელში. ამ წარმომადგენლებს დღეს 19 მარტს, თათბირი ექნებათ ეკატერინოდარში საერთო სამუშაო გეგმის შესამუშავებლად. ქუთაისში შესდგა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ბ-ნი არდიშვილი, ხოლო მის თანაშემწეებად—ბ-ნნი თალაკვაძე და ჯაფარიძე. განჯაშიაც შესდგა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელად არჩეულია ნასიბ-ბეგ იუსუფ-ბეგი. განჯისავე გუბერნიაში სდგება სამაზრო და სარაიონო კომიტეტები. 18 მარტს თბილისში მოვიდა 2 ვაგონი ფქვილი და 5 ვაგ. ფხვნილი შაქარი.

— **თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის კომისარებმა** დაადგეს ნიხრი პირველმოთხოვნილების საქონელზე. ეს ნიხრი ამ დღეებში გამოცხადდება.

— **ამიერ-კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის** ბიურომ 15 მარტს ქონდა კრება, რომელზედაც დაადგინეს: 1) ყოველი ოთხი საზოგადო ორგანიზაციისაგან გაიგზავნოს ერთი წარმომადგენელი თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში, ეცნობოს აღმასრულებელ კომიტეტის კომისარებს. 2) კრებამ აირჩია ხუთ კაცისაგან კომისია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ქვანახშირის შეძენა და მოხმარება, როგორც კავკასიისათვის, ისე ფრონტისათვის.

— **კრება.** ქართ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მოხდება ორშაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა № 2). კრების პროგრამა: I საადმინისტრაციო ნაწილი: ა) წარსულ მორიგ კრების განაჩენის წაკითხვა და დამტკიცება. ბ) საადმინისტრაციო კითხვები. გ) ახალ წევრების ამორჩევა. II სამეცნიერო ნაწილი: ექიმი იკ. ე. თიკანაძე წაიკითხავს შემდეგს მოხსენებას: საშვილოსნოს გარეშე საგანი.

— **უბნის მცხოვრებთა კრება.** ხვალ, 19 მარტს, ნაშუადღევის 3 საათიდან „ნადიროვკაში", სამოვილნი ქუჩაზე, წყალთან, მოხდება მთელი უბნის მცხოვრებთა კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს ბიურო ადგილობრივ საქმეებისა და საკითხების გასაძღოლად. ბიურო მოითხოვს, რომ მისი წარმომადგენელნი მიღებულ იქნან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

— **სამსახურიდან გასვლა.** თბილ. ზოგიერთ საშუალო სასწავლებელთა დირექტორებმა უკვე შემოიტანეს თხოვნა სამსახურიდან დათხოვნისა. სამსახურს თავი დაანება აგრეთვე სახალხო სკოლათა ინსპექტორმა ცნობილმა ოდიოვმა.

— **კრება.** დღეს, 19 მარტს, დილის 10 საათზე, ავლაბრის კლუბის საზაფხულო ბინაზე სავაჭრო-სამრეწველო სახლების მოსამსახურეთ დამფუძნებელი კრება ექნებათ კავშირის შესადგენად. კრებამ აგრეთვე უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენლები ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

— **ახალი მუშათა ს.-დ. გაზეთი** „კავკასკი რაბოჩის" გამოცემა გადავიდა კანტორა „განათლება"-ს ხელში. ყველა აგენტებს შეუძლიათ გაზეთი დაიკვეთონ „განათლებიდან".

— **ტელეფონი რედაქციაში.** „საქართველოს" რედაქციაში გამართულია ტელეფონი, მისი № 15—73.

საქართველოს საკათალიკოსო

ქართულ სასულიერო მთავრობის შემადგენლობა.

შემადგენლობა ახლად აღდგენილ ქართულ ეკლესიის გამგებლობისა ასეთია: ყოვლად სამღვდელონი გორის ეპისკოპოსი ანტონი, ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი, სემინარიის რექტორი კ. კეკელიძე, დეკანოზი თალაკვაძე, მღვდლები ვასილ და პოლიევქტო კარბელაშვილები; ერის კაცნი: იპ. ვართაგავა, ვ. ბარნოვი, ს. გორგაძე, პ. კიზირია, ს. ახვლედიანი, თ. სახოკია, პ. ბარათაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. მგალობლიშვილი და დ. დავითაშვილი. თავმჯდომარედ არჩეულია მცხეთის არქიეპისკოპოსის და სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი.

პანაშვიდი. გუშინ წინ, სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი რევოლიუციის მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადიხადა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ, მცხეთის არქიეპისკოპოსის და სრულიად საქართველოის კათალიკოსის მოსაყდრემ. თანამწირველად იყვნენ ანტონი, ეპისკოპოსი გორისა და თბილისის ქართველი სამღვდელოება. პანაშვიდის შემდეგ, ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. გალობდა ჩარკვიანის ხორო.

ქართველ სამღვდელოების წარმომადგენელნი.

ქართულ ეკლესიის დროებითმა გამგებლობამ ამიერ-კავკასიის მოსაწყობად ჩამოსულ კომისარიატთან კავშირის დასაჭერად შემდეგი პირნი აირჩია: ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, რექტორი სემინარიისა დეკანოზი კ. კეკელიძე, დეკანოზი ნიკ. თალაკვაძე და ს. გორგაძე.

საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრის ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს სახელზე მოსული მისალოცი დეპეშები:

თელავი. თელავის მაზრის ეკლესიის მსახურნი გილოცავენ მშობელ ეკლესიის ავტოკეფალურ ცხოვრების აღდგენას.

სამღვდელოების მონდობილობით დეკანოზი შიუკაშვილი და მღ. დეკანოზიშვილი.

თელავი. თელავის ქართველი სამღვთო სჯულის მასწავლებელნი და პედაგოგები, საპედაგოგიო კავშირის მონაწილენი, გილოცავენ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას.

კრების თავმჯდომარე **ქარიძე.**

ახალციხე. გთხოვთ გადასცეთ წმიდა კრებულს ჩემი სიხარული, რომ დედამ ღვთისამ მოჰხედა თავის წილხვდომილს და მისნი ღირსეულნი ძენი ჩვენს საეროვნო წმიდათა-წმიდაში შეჰკრიბა, რათა სამუდამოდ შეეშროთ ცრემლი ჩვენის დაქვრივებულის ეკლესიისათვის და განეკურნათ ხანგრძლივის სნეულებისაგან. დეე, ეკლესიის მსახურთა და წმიდა კრებულის ლოცვამ მიანიჭოს ტანჯულ ქართველ ხალხს განათლებული თავისი ძველი ეკლესია და მამული. გული მწყდება, რომ იმ სანეტარო ჟამს თქვენთან ვერ ვიყავ.

დეკანოზი **ხახუტაშვილი.**

მოსკოვი. სამშობლოს მომავლის იმედით აღჭურვილი, მივესალმები ნათელ განთიადს, მშობელ ეკლესიას რომ აღმოუბრწყინდა.

თულაშვილი.

რევოლიუციის დღიური

ჯერ-ჯერობით დანამდვილებით ჩვენ არ ვიცით, ვინ ვის ატყუებს, ხატისოვი თავის რეაქციონურ დამქაშებით: სოციალ-დემოკრატებს, თუ უკანასკნელნი ხატისოვს და მის რაზმს? ვიცით მხოლოდ ერთად-ერთი: დღევანდლამდე ორივე ბანაკი, შეერთებული და შეკავშირებული, ქართველ ერის წინააღმდეგ ილაშქრებს და სურს მოუსპოს და ჩაუკლას გულში თავისუფლების სურვილი. ხატისოვი და ჟორდანია უპირველესი რეაქციონერები არიან ქართველ ხალხისათვის. მათი მოქმედება, როგორც თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის კომისარებისა, წმინდა ბიუროკრატიულია და როგორც ასეთი, რასაკვირველია, დასაგმობია და გასადევნი. ყოველგვარი დაწესებულება რეაქციონური ხდება, ამბობს მარქსი. საკმარისი იყო, სულ რამდენსამე დღეს ემოქმედნა აღმასრულებელ კომიტეტის ისეთ რევოლიუციონერების მეთაურობით, როგორიც არიან ჟორდანია და ხატისოვი, რომ მაშინვე ხალხის ინიციატივის შეურიგებელნი მტრები გამხდარიყვნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ქ. თელავშიაც შესდგა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და შეუდგა სხვა და სხვა დაწესებულებაში მთავრობის მოხელეების გადაყენებას.

ამოირჩიეს კომისარები დ უკანასკნელნიც გაემართნენ სამაზრო სამმართველოში, მაზრის უფროსის გადასაყენებლად. წარმოიდგინეთ კომისარების განცვიფრება, როდესაც მაზრის უფროსმა უჩვენა ნ. ჟორდანიას და ხატისოვის ხელმოწერილი დეპეშა. უკანასკნელნი ავალებენ მაზრის უფროსს, არავინ მიიღო, არავის გადასცე სამმართველო, ჩაფრებს არავინ ჩამოართვას იარაღი და თქვენ განაგრძეთ თქვენის მოვალეობის ასრულება მანამდის, სანამ თბილისიდან ხატისოვის აგენტი-კომისარი არ ჩამოვა საქმის ჩასაბარებლადო! ასეთი თავხედობა არა მკითხე მმართველებისა სიცილით არ ეყო ადგილობრივ კომისარებს. კომისარმა ვასილ ავალიშვილმა ადგილობრივ კომიტეტის დადგენილების თანახმად, აჰყარა იარაღი ჩაფრებს და შეუდგა მილიციის მოწყობას. სამაზრო მმართველობა ჩაიბარეს ალ. ვახვახიშვილმა და ეს. პაატაშვილმა, ვინ არის ხატისოვი ან და ამხანაგი ჟორდანია იმ კახეთისათვის, სადაც არც ერთი სოციალდემოკრატი და მუშათა საბჭოს მიმდევარი არ მოიპოვებათ, გარდა იმ ორ-სამ მუშისა, რომელიც თელავში თავ ჩაქინდრულნი დადიან. რა უფლება აქვს ჟორდანიას და ხატისოვს იმ სოფლებში, სადაც სოც. დემოკრ. ხსენებაც არ სურთ და ყოველ ღონეს იღებენ, რომ მათ მიწა-წყლაზე არც კი გაატარონ. ცარუ-რევოლიუციონერები ქართველ ხალხს მოქმედებას, თავისუფლებას უსპობენ და რეაქციას ნიადაგს უმზადებენ. ქართველ ხალხს არავინა სჭირია: არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და არც დაშნაკცაკანთა მესვეურები. ერმა მეტად ბევრი სისხლი დაღვარა თავისუფლებისთვის და ვინ არიან ის პირნი, რომლებიც სისხლით მოპოვებულ თავისუფლების წართმევას ლამობენ? რას უწოდებს იმ პირთ მკითხველი, რომელიც ძველ მთავრობის მოხელეს უპირატესობას აძლევს და ნდობას უცხადებს? ჩვენთვის ყველაფერი აშკარაა. ჟორდანიამ და ხატისოვმა ადრევე შეიტყვეს, რომ თელავში მათი მომხრენი უმცირესობას შეადგენენ. იცოდენ, რომ ვერც ქალაქის მართველობა და ვერც სოციალ-დემოკრატები ვერ მოახერხებდნენ ადგილობრივ კომიტეტის ხელში ჩაგდებას. და რაკი ეს ასე მოხდა, მაშასადამე, ხალხი წარმომადგენლებს უფლებასაც უსპობენ და ბიუროკრატებივით ქალაქიდან ბრძანებებს სწერავენ. მაგრამ ტყუილია მათი ოცნება. სამაზრო ქალაქმა და სოფლებმა უკვე გაიგეს, ვისთანა ჰქონდათ საქმე და მკვახეთ შეაქციეს მათ ზურგი. ყოველივე შეგნებულ ქართველის ვალია სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ თავისუფლების ქურქში გახვეულ რეაქციონერებს და დაიხსნან განაცდელებისაგან სისხლით მოპოვებული თავისუფლება ქართველ ერისა.

ჯუანშერ.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე.

კომისარების მოსვლა

18 მარტს თბილისი დიდის მოუთმენლობით მოელოდდა რუსეთის ახალ მთავრობის კომისარებს, რომელთაც კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეები უნდა მოაწყონ. დილის 9 საათიდან აუარებელი ხალხი მიაწყდა რკინის გზის ვოგზალს. მივიდნენ: კომისარიატის წევრი ბ-ნი კიტა აბაშიძე, თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კომისარები—ნ. ჟორდანია, პოპოვი და ხატისოვი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, წარმომადგენელნი პოლიტიკური პარტიებისა, პრესისა, კოოპერატივთა კავშირისა, კავკასიის მხედრობის უფროსი გენერალი იუდენიჩი, მხედრობათა შტაბის უფროსი გენერალი ბოლხოვიტინოვი, თბილისის მილიციის უფროსი ბ-ნი კოგანი, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხ. ვოგზალში ჩამწკრივებული იყო წითელის დროშებით და მუსიკით საპატიო დარაჯი, შემდგარი პრაპორშჩიკთა, სკოლის მოსწავლეთა, მე 218 პოლკისა და რკინის გზის ბატალიონისაგან.

სრულს 10 საათ. 13 წუთ მატარებელი მოვიდა. ვაგონიდან პირველად ჩამოვიდა კომისარი მოქალაქე ვ. ა. ხარლამოვი (დონის ოლქის ყაზახი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, მემარცხენე კადეტი), მას მოჰყვნენ ბ-ნნი ჯაფაროვი და პაპაჯანოვი. აკაკი ჩხენკელი ეხლა არ მოსულა. ალ. ხატისოვმა სიტყვა უთხრა კომისარებს. ამ უკანასკნელებმა საპატიო დარაჯს ჩამოუარეს და მიესალმნენ. შემდეგ მშვენიერი სიტყვით მიჰმართა შეკრებილ საზოგადოებას ბ-ნმა ხარლამოვმა. მან ბრძანა: ტირანი დავსცით. თავისუფლება მოვიპოვეთ, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი შრომა მოგვინდება თავისუფლების შესანარჩუნებლად. განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ სრულს გამარჯვებამდე გერმანიას, ამ ერთად ერთ ავტოკრატიულ სახელმწიფოს მთელს დედამიწის ზურგზე, თორემ თუ გერმანიამ გაიმარჯვა, თავისუფლებას დავკარგავთ და ძველი რეჟიმი გამეფდებაო. შემდეგ ხარლამოვმა ცალკე სიტყვით მიმართა ჯარის კაცებს. სხვებმაც ილაპარაკეს თანამედროვე თემებზე. კომისარები ავტომობილით წამოვიდნენ სასახლეში. ზღვა ხალხი დიდის აღტაცებით ეგებებოდა მათ მოედნებსა და ქუჩებში. სასახლესთანაც დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. ოთხმავე კომისარმა სასახლის ბალკონიდან აღგზნებულის სიტყვებით მიმართეს ხალხს. ყველგან სამაგალითო წესიერება სუფევდა. ხალხი დიდი ნასიამოვნები დაიშალა 12 საათზე.

მოწოდება პოლონეთისადმი

(დეპეშა)

პეტროგრადი, 16 მარტი. დროებითმა მთავრობამ ასეთის მოწოდებით მიჰმართა პოლონელებს:

პოლონელებო! რუსეთის სახელმწიფოებრივი ძველი წეს-წყობილება, თქვენის და ჩვენის ჩაგვრის და განცალკევების წყარო, სამუდამოდ დაემხო. განთავისუფლებული რუსეთი თავის დროებით მთავრობის პირით, იმ მთავრობისა, რომელიც სრულის უფლებითაა აღჭურვილი, ისწრაფვის მოგმართოთ თქვენ ძმურის სალამით და თავისუფლებისაკენ მოგიწოდოთ. ძველმა მთავრობამ თქვენ პირ-ფერობით მრავალი დაპირებანი მოგცათ. ამ დაპირებათა ასრულება მას შეეძლო, მაგრამ არა ჰსურდა. ცენტრალურმა სახელმწიფოებმა ისარგებლეს ძველის მთავრობის შეცდომით, დაიპყრეს და გაანადგურეს თქვენი მხარე. მათ, მხოლოდ რუსეთთან და მის მოკავშირეებთან საბრძოლველად მოგანიჭეს თქვენ სახელმწიფოებრივი ცრუ უფლებანი. მაგრამ ეს უფლებები მოანიჭეს არა სრულიად მთელ პოლონეთს, არამედ მხოლოდ ერთ მის ნაწილს, რომელიც დროებით დაიპყრეს, ამ საფასურით მტერსა ჰსურს შეისყიდოს ხალხის სისხლი, იმ ხალხისა, რომელსაც დესპოტიზმის განსამტკიცებლად აროდეს უბრძოლნია. და ნურც ეხლა იბრძოლებს პოლონელთა ლაშქარი თავისუფლების დასათრგუნვად, თავის სამშობლოს დასანაწილებლად, თქვენის მრავალ საუკუნეთა მტრის მბრძანებლობით. თქვენთვისაც დადგება დიადი ჟამი. თავისუფალი რუსეთი მოგიწოდებსთ თქვენ, მოდით, ჩასდექით ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგში. უღელ გადაგდებული რუსეთის ხალხი მოძმე პოლონელთათვისაც აღიარებს სრულს უფლებას, რათა მან თავისი ნებისყოფით განარკვიოს თავისი ბედი. თავის მოკავშირეებთან შეთანხმების ერთგული, ერთგული მეომარ გერმანიზმთან საბრძოლველ გეგმისა, დროებით მთავრობასა სწამს, რომ მხოლოდ დამოუკიდებელ პოლონეთის აღდგენა განამტკიცებს ევროპაში მშვიდობიანობას. ხოლო, აღდგენილი პოლონეთი უნდა შესდგებოდეს პოლონეთის ყველა იმ ნაწილებისაგან, იმ მიწებისაგან სადაც კი მოსახლეობის უმრავლესობა პოლონელები არიან. პოლონეთის სახელმწიფო, რუსეთთან თავისუფალ სამხედრო კავშირით შეკავშირებული, ძლიერი ბურჯი იქნება, ცენტრალ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და სლავიანების განსამტკიცებლად. განთავისუფლებული და გაერთიანებული პოლონელი ერი თვით განმარტავს თავის სახელმწიფოს წეს-წყობილებას მომავალ დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც საყოველთაო კენჭის ყრით იქნება მოწვეული პოლონეთის დედა ქალაქში. ამავე დროს რუსეთს სწამს, რომ ის ერები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში ერთად ცხოვრებამ პოლონელებთან დააკავშირა, თავიანთ ეროვნულ და სამოქალაქო არსებობის სრულ გარანტიას მიიღებენ. რუსეთის დამფუძნებელ კრებამ უნდა განამტკიცოს ახალი ძმური კავშირი და უნდა დასტური დასვას რუსეთის ტერიტორიის იმ ცვლილებებს, რაც საჭირო იქნება თავისუფალ პოლონეთის აღსადგენად და მის იმ სამ ნაწილის შემოსაკრებათ, რაც დღეს გაფანტულია. მაშ მიიღეთ, ძმანო პოლონელნო, ძმურად გამოწვდენილი ხელი თავისუფალ რუსეთისა. ერთგულნო მცველნო დიდებულ წარსულისა, აწ მიეგებენით ახალს, ნათელს დღეს თქვენის ისტორიისას, დღეს პოლონეთის აღდგომისას. დეე, ჩვენის და თქვენის სახელმწიფოების კავშირში, განახლებულ და უძლეველ ძალით გაისმას თქვენის განთავისუფლების წინამორბედთა ძველებური ძახილი: „წინ! საბრძოლველად, მხარ და მხარ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, თქვენი და ჩვენის თავისუფლებისაკენ"!

ხელი უწერიათ: მინისტრთა თავმჯდომარე თავადი ლვოვი, გარეშე საქმეთა მინისტრი მილიუკოვი, სამხედრო და საზღვაო მინისტრი გუჩკოვი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კონოვალოვი, ფინანსთა მინისტრი ტერეშჩენკო, განათლების მინისტრი მანუილოვი, სინოდის ობერ-პროკურორი ლვოვი, მიწად-მოქმედების მინისტრი შინგარიოვი, სამართლის მინისტრი კერენსკი.

სიტყვა

წარმოთქმული მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის გალავანში 12 მარტს 1917 წელს, ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

მოქალაქენო, მამულიშვილნო, ძმანო და დანო, შვილნო ივერიის ეკლესიისანო!

დღეს იშვებს და იხარებს ჩვენი ერი!—მიუხედავად იმ გლოვა-ტირილისა, რომელიც ჩვენის ქვეყნის კიდით-კიდე გაისმის ბრძოლის ველზე დალუპულ მამულიშვილთათვის,—დღეს მაინც ყველას პირზე სიხარულის ღიმი უქრის, ყველანი აღფრთოვანებულნი ვართ, რაღაც ენით გამოუთქმელ, ზეციურ მადლის ნაპკურებ ცხოველმყოფელობას განვიცდით, თითქოს ქრისტეს აღდგომის დღე გაგვთენებოდეს! აღდგომა დღეს ცხედარი რო ესვენოს ადამიანს სახლში, ის მაინც ამ დღეს სიხარულით ეგებება, ის მაინც სულიერ კმაყოფილებას განიცდის. ეს არის იმ უხილავ ძალის ნაყოფი, რომელსაც მადლი ღვთისა ეწოდების! ეს არის სიხარული სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა, ეს არის ჯოჯოხეთის ბჭეთა შემუსვრა, ეს არის ნიშანი სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა, ეს არის სინათლის სიბნელეზე გაცისკროვნება!

მაგრამ აღდგომის დღესასწაული წელს ორ აპრილს გვითენდება! მაშ რამ გამოიწვია დღეს ასე ადრეულად ჩვენი აღდგომისებური ლიტანია?! რამ შეგვკრიბა დღეს აქ ამ სახით, ამ შემადგენლობით, ამ ზეიმობით საქართველოს ყოველ კუთხიდამ?! რამ გამოიწვია მწუხარებისაგან გალეულ ჩვენს გულში სიხარული?! რამ გამოიწვია მონობის უღელ ქვეშ მგმინავ ქართველობაში მოქალაქობრივ ღირსება-უფლებათა შეგნება? როგორ მოხდა ას ხუთი წლის განმავლობაში უფლება აყრილ ივერიის ეკლესიის მსახურთა შორის ასეთი **უმაგალითო გაბედულობა გაერთიანებისა**?! ესენი ჩვენის სულიერ ოპეკუნის დაუკითხავად შეკრებილან დღეს აქ და მით ფაქტიურად აღადგინეს უკვე დიდის ხნის განმავლობაში უკუ-გდებული და დავიწყებას მიცემული, მოციქულთაგან ნაანდერძევი ეკლესიური ცხოვრების მართვის წესი—**ეკლესიური კრება**?!

დიახ, დღეს აქ ეკლესიური კრება მოვაწყვეთ თავისუფლად, რომელმაც შარაგზაზე უმწეოდ განრთხმული მშობელი ეკლესია ფეხზე წამოაყენა, ხელი უპყრა მას და თავისუფალი ცხოვრების მსვლელობა აღუდგინა.

ყოველივე ეს მოგვანიჭა პეტროგრადში ორ მარტს მომხდარმა დიადმა აქტმა, რომელმაც ერთის დაკვრით დაამხო გამძვინვებული, აღვირ-ახსნილი თვითნებობა, დაამსხვრია მონობის ბორკილი; 180 მილიონიან რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებთ სინიდისი განუთავისუფლა, ენაზე დადებული კლიტეები ახსნა და სიტყვა,—ეს ადამიანის დამამშვენებელი და ნიშანდობლივი ღვთაებრივი ნიჭი,—მუხრუჭებში შებორკილ-შემოსალტული, გაათავისუფლა და ასე თამამად აამეტყველა, აალაპარაკა! რუსეთის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად ეროვნებისა, რწმენისა და მიმართულებისა, მოქალაქედ იქმნა ცნობილი, რომლის ქონება, პიროვნება, ბინა და ნამუსი ხელშეუხებელი იქნება ამიერიდგან!

მოიხსნა ძალმომრეობა, მოიხსნა მტარვალობა, მოიხსნა დაკანონებული ვერაგობა და იუდობა! დიახ, მოხდა დიადი აქტი, აქტი რუსეთის ერთა მკვდრეთით აღდგომისა, რუსეთის ერთა სულიერად და ხორციელად განახლება აღორძინებისა. ეს უხარის დღეს მთელ რუსეთს, ამას შეღაღადებს ყოველი მოქალაქე, ყოველი კავშირი, ყოველი დაწესებულება, მუშა, ჯარისკაცი, ვაჭარი თუ ხელოსანი, მღვდელი თუ ბერი, ღარიბი თუ მდიდარი, დიდი თუ პატარა!

დღეს ღაღადებს „დემოსი", ესე იგი ერი! გაიმარჯვა ერმა! ხმა ერისა—ხმა ღვთისაო!

ამ საერთო ზეიმში განსაკუთრებულად იშვებს და იხარებს მრავალტანჯული ქართველი ერი, იმედ გაცრუებული, მოტყუებული, მოკავშირისაგან დამონებული, ერთ-მორწმუნეთაგან შეურაცხყოფილი, მიწასთან გასწორებული, ავაზაკურად გაფცქვნილ-გალატაკებული, თვის მიწა-წყალზე ხელდაბანილი, გაბოგანების, გადაგვარების და გადაშენების გზაზე ასე ხელოვნურად დაყენებული. არც ერთ კულტურულ-ისტორიულ ერს არ დასტეხია დესპოტიურ რუსეთისაგან ისეთი უბედურება და სულიერად თუ ქონებრივად განიავება, როგორც ჩვენ,—ქართველობას! არ ვიცი, რომელი ერთი დავიჩივლო, რომელი ერთი ჩვენი დამცირება თუ შეურაცხყოფა აღვნიშნო?! ან კი საჭიროა ამაზე დღეს ლაპარაკი და მოძღვრება?! „რაც იცი, იმაზე რაღას მეკითხებიო",—ნათქვამია! მაგრამ გული არ ისვენებს, იგი ისწრაფვის დაიჩივლოს! გულჩათხრობილნი დღეს ვანთხევთ 116 წლის მონობის ნაღველს! რა გვიყო დესპოტიის მოსამსახურე მოხელეებმა! რამდენჯერ აგვიწიოკეს რუსეთთან თავის ნებით, უფლებრივ ტრაქტატით შეკავშირებული სამშობლო! რამდენჯერ მანდილი მოჰხადეს ჩვენს უმანკო დედებს, დებს და შვილებს! ქვეყანას ნამუსი აჰხადეს! მატიანეს მწარე მოთხრობები ამის თაობაზე საუკუნოდ წარუხოცელ სირცხვილით აღბეჭდავს ვერაგთა, გამცემთა, ფიცის გამტეხთა და მექრთამეთა სახელებს! რამდენი ვაჟკაცნი გამხდარან მსხვერპლნი განუკითხავ თვით-ნებობისა! რამდენ მათგანს დაულევია სული დესპოტიის ციხე-სატუსაღოებში, რამდენთა ძვლებით მოკენჭილა ციმბირის კატორღები და ტუნდრ-ჭაობები?! ოჰ, უსამართლოდ დასჯილნო, უმანკო მსხვერპლნო, ჩვენო მეცხრამეტე საუკუნის დიდო მოწამენო, ნეტარო ანტონ კათალიკოზო. ფილადელფოს კიკინაძენო, დოდაშვილნო, ისმინეთ ჩვენი თქვენდამი ოხვრა და სულთქმა! ეხლა მაინც გაიხარეთ სულით!..

შემოგვესიეს სხვა და სხვა ერნი! ჩამოგვისახლეს ვიგინდარები, გაამეფეს ერთა შორის სიძულვილი, შური და დამღუპავი ქიშპობა, რომ ერთმანეთი ამოგვეჭამა, რათა ჩვენი მზიანი, ტურფა და ტკბილი სამშობლო ხელიდგან გამოგვცლოდა და მათ დარჩენოდათ...

ესეც არ გვაკმარეს. შეეხნენ ადამიანის წმიდათა-წმიდას,—სინიდისი შეგვიბღალეს, ჩვენს მხცოვან სვეტიცხოველს გუმბათი გადაუმტვრიეს, ეკლესიას თავი მოსჭრეს, სამშობლოდან გაგვიძევეს, იქ ჩაჰკლეს, ჩაასამარეს. ივერიის სამოციქულო ეკლესიას გენერალ ტორმასოვის განკარგულებით რუსეთის სინოდი დაუდგინეს მმართველად ექსარხოსების საშუალებით! ესე იგი რუსეთის ეკლესია,—ეს უმცროსი და ივერიის ეკლესიისა,—ბატონად დაგვიდგინეს, რათა დები ერთმანეთისათვის შეეძულებიათ. შელახეს და დაარღვიეს ეკლესიური, მსოფლიო კრებათაგან დადგენილი, კანონები.

ჩამოგვართვეს ჩვენი ძველის-ძველი სიწმიდე—სამლოცველოები, ტაძარ-მონასტრები, ათასჯერ ჩვენ მოწამებრივ ერის სისხლით მორწყულნი და მათ კედლებზე მისხმულ ტვინით გაპოხილნი. ჩვენ განმანათლებელ წმ. ნინოს სათაყვანებელი საფლავიც კი არ დაინდეს, ჩამოგვართვეს, ვიგინდარა მოლოზნებს გადასცეს და ჩვენი ერის გადაგვარების ბუდე-იარაღად დასახეს. გაძარცვეს ხატები, ძვირფასი სამკაულები, ფუთობით თვალ-მარგალიტები გაზიდეს. გაგვალატაკეს! 140 მილიონად შეფასებული ივერიის ეკლესიის ადგილ-მამული ჩამოგვართვეს და სახაზინოდ შერაცხეს, ეკლესიას და მისს მსახურთ კი ლუკმა დაუძვირეს, გააჩანაგეს, ეკონომიურ მონობაში ჩაგვყარეს, რათა უფრო ადვილად გავენადგურებინეთ.

დეკ. ნიკ. თალაკვაძე.

(დასასრული იქნება)

„კავკაზსკოე სლოვო“-ს შავი ნიღაბი

ბევრმა შოვინისტობაში ჩამოგვართვა, რომლესაც „კლდისა“ და „საქართველოს“ ფურცლებზე „კავ. სლოვო“ მოვანათლეთ სომეხთა იდეოლოგიის ორგანოდ. გვითითებდნენ, შიგ ქართველი მომუშავენი კალმით და ცოდნით სცდილობენ კავკასიის ერთა ურთიერთობის შეჩერებლადაო. ჩვენ კი გულწრფელი წერილებით ვამტკიცებდით, ქართველობა მათ დროებით სჭირიათ ს ზოგადო ნდობის მოსაპოვებლად, მაგრამ რა წამს მომაგრდებიან, ქართველთ კარში გამოჰრეკენო. აი, ახლა ჩვენი ნაწინასწარმეტყველევი. ნელ-ნელ ხსენებულმა გაზეთმა ჩამოიშორა მათთვის ყველა არა-სასურველი ელემენტები. რამდენადაც ვიცით, ამ ჟამად ქართველთაგან მხოლოდ ჟულბლაზი უნდა იყოს შეწყნარებული, რა თქმა უნდა, დროებით, ვიდრე ამისი საათიც არ დაჰკრავს. რაშია საქმე? რად გამოექცნენ ქართველობა? ამის პასუხს იძლევა ბ-ნი ს. კაკაბაძე „ზაკ. რეჩის“ ფურცლებზე. პასუხი მისი მით უფრო საყურადღებოა, რომ ქართული საზოგადოებისთვის იგი (ბ-ნი კაკაბაძე) გარკვეული პიროვნებაა, როგორც სომხების მომხრე ადამიანი. აი, სხვათა შორის, რას ამბობს ბ-ნი კაკაბაძე: „...გაზ. „კავ. სლოვოში“ მიწვეულ ვიყავი იმ მიზნით, რომ ხელი შემეწყო კავკასიის ერთა შეთანხმებისათვის. ამ ნიადაგზე ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ იდეურად მთელი ჩემი შრომა მიმართული უნდა ყოფილიყო იმ ხალხის საწინააღმდეგოდ, რომელსაც მე ვეკუთვნი. ამითი აიხსნება, რომ ჩემი მდგომარეობა „კავ. სლოვოში“ თანდათანობით უხერხული ხდებოდა, განსაკუთრებით იანვრის აქეთ ვხედავდი, რომ ჩემი ეროვნული თავმოყვარეობა მართლა უნდა შელახული ყოფილიყო, თუ კი იქ დავრჩებოდი. არაერთხელ გამიცხადებია რედაქტორისთვის, შეუძლებელი ხდება ჩემი აქ დარჩენა, თუ რედაქციაში თავს მოიყრიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ცალმხრივად აშუქებენ საკითხს ქართველთა საწინააღმდეგოდ-მეთქი. მაგრამ 2—3 თვის განმავლობაში ვერას გავხდი. ამიტომაც 12 მარტს წერილი მივწერე დოლუხანოვს, ხსენებულ გაზეთის გამომცემელს, სადაც ვატყობინებდი შემდეგს: „ამ ორს უკანასკნელ თვეში ჩამოვარდნილი უთანხმოება თანამშრომელთა შორის ცხადს ჰყოფს, აქ გაჩერება ჩემი შეუძლებელი იქნება... თქვენ გადაუხვიეთ იმ დანიშნულებას, რისთვისაც გამოეცით ეს გაზეთი. ვღალატობდით ჩვენს მთავარს პრინციპს... მუდმივი ნერვიული სიანჩლე იმ საკითხებში, რომელნიც ქართველობას ეხებიან, ხშირად უკიდურესობამდის მიდის, რომელიც შეჰლახავს თვითეულ ქართველის თავმოყვარეობას... რედაქტორ ანანოვის სისუსტის გამო ძალაში შევიდნენ ფ. ლეიტესი და მ. ავდეევი, რომელნიც ცნობილნი არიან როგორც ტენდენციური მოაზრენი ქართველობის შესახებ, როგორც ჩვენი ერის მოძულენი...

ახლა დაფარული აღარავისთვისაა ის გარემოება, რომ „კავ. სლოვო“ მტრულად უყურებს ქართველ საზოგადოებას და ვინ რა იცის ერთს მშვენიერს დღეს პირდაპირი ხაზიც არ გაავლოს ანტიქართულ გამოსვლას“...

საზოგადოდ წერილი ს. კაკაბაძესი ფრიად საყურადღებოა და მრავალ მხრითა ჰხდის სოლოლაკელთა ორგანოს იმ შავს ნიღაბს, რომლის იქითაც დიდი ხანია „საქართველოს“ თანამშრომლებმა ქართველთა ზიზღის პროფილი დაინახეს.

ქართლელი.

თელავი

(საკუთ. კორეს.)

ორი დღის მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც გაიმართა ტყის ძმებთა და თელავის აღმასრულებელ კომიტეტს შორის ნაციონალ-დემოკრატ ალექსანდრე ახმეტელის ინიციატორობით, ბრწყინვალე ეთ დამთავრდა. 15 მარტს საღამოს 11 საათზე ტყის ძმები, რიცხვით 11 კაცი, ცნობილ ჟორჟიკას, ნაბიას და გიგო ველისციხელის მეთაურობით თელავის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე შეიარაღებულნი გამოცხადდნენ. კომიტეტის წევრნი, ასეთ მათთვის დაუჯერებელ ამბავს დიდის აღტაცებით და ტაშის კვრით დახვდნენ. სურათი შესანიშნავი იყო. 11 წელიწად გასული გაველურებულ ხალხის პირისპირ შეხვედრა იმათთან, ვისაც მარტო სახელის გაგონებაც კი შიშის ზარსა სცემდა, მართლაც გასაოცარი იყო. კრების თავმჯდომარემ და ოფიცერთა წარმომადგენელმა სიტყვით მიმართეს ტყის ძმებს და მიულოცეს გამარჯვება ახალ მთავრობასა. საუცხოვო მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ტყის ძმათა მეთაურმა ჟორჟიკამ. სიტყვის შემდეგ მან მოიხსნა იარაღი და კომიტეტის თავმჯდომარეს წინ დაუწყო. მის მაგალითს მიჰბაძეს დანარჩენებმაც. აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ამ რიგათ ტყის ძმათა საკითხი, ანუ, როგორც კახეთში უწოდებდნენ, ყაჩაღთა საკითხი, აღმასრულებელმა კომიტეტმა ორ დღეში საბოლოვოთ გადასწყვიტა. აღარც ერთი მალულად შეიარაღებული კაცი აღარ არსებობს თელავის ტყეებში.

ღია წერილი

ბ-ნ ანტონ ბერიშვილს

11 ამა მიმდინარე მარტსა სოფელს მარტყოფში მოვიდნენ მუშათა დეპუტატთა წარმომადგენელი ბ. ვლ. კაკაბაძე და კავკასიის კოოპერატივთა წარმომადგენელნი ბ. დ—ია და კ—ი, მოიწვიეს კრებაზედ მცხოვრებელნი სოფ. მარტყოფისა და განუმარტეს დღევანდელი მომენტის დიადი მნიშვნელობა; ურჩიეს შეგნებულათ, დინჯათ იმოქმედონ მათ და მხარი დაუჭირონ ახალს მთავრობას, რომელიც ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობს ენერგიულათ; არ შეეხონ კერძო საკუთრებას, პიროვნებას, ერთმანეთში კინკლაობას თავი მიანებონ, პირად ინტერესებისგან გამოწვეულს შურისძიებას, ნათლი-მამობას საზოგადო საქმეების გადაწყვეტაში ბოლო მოუღონ და ერთგულათ იმუშაონ ახალი მთავრობის ზურგის გასამაგრებლათ.

მიუხედავათ ამისთანა სასიამოვნო მცნებისა, რომელიც ხალხმა დიდის აღტაცებით მიიღო, თქვენ, ჩემმა დაუძინებელმა და მოსისხლე მტერმა ამავე კრებაზედ ჰქვა-ქუხილი ასტეხეთ, გამოილაშქრეთ ჩემს წინააღმდეგ და შემდეგის ეპიტეტებით დამასურათეთ: „ჟანდარმერიის აგენტი, კაცის მკვლელი, ხალხის მტაცებელი და ამ დიადი მომენტის წინააღმდეგიც“ კი მიწოდეთ.

მე იქვე კრებაზედ მოგთხოვეთ პასუხი დაგემტკიცებინათ თქვენი ნათქვამი უტყუარის საბუთებით, მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ და არც თავმჯდომარემ მოგთხოვათ პასუხი პრესის საშუალებით.

თუ მე დამიმტკიცებთ თქვენ ეს ყოველივე სისაძაგლე იმავე ხალხის კრებაზედ, თუ გინდ პრესის საშუალებით, მაშინ მე ღირსი ვყოფილვარ ამისთანა შეურაცხობისა, თუ ვერ დამიმტკიცეთ, მაშინ მე ნება მექნება თქვენც და თქვენს დამქაშებსაც სახალხოთ უტყუარი ფაქტებით დაგიმტკიცოთ, ვინ არის ჩვენთაგანი ხალხის მჩაგვრელი, დესპოტი, თქვენ თქვენის დამქაშებით, თუ მე.

ხოლო ეხლა ნება მომეცით მოგაგონოთ ერთი უტყუარი ფაქტი და მკითხველმა დასდოს მსჯავრი.

წითელი დროშის მოტრფიალე 1906 წელს, აწ განსვენებულის მთავრობის მიერ დევნილი, მე შევიფარე სახლში და, რითაც და როგორც შემეძლო, ვფარავდი მას. მერე რა მიყავით მე, „დაჩაგრული ხალხის პატრონებო და თავდადებულნო რაინდნო“? აი რა მიყავით. ერთს მშვენიერს დღეს, ღამის 12 საათზედ, პოლიციის შეიარაღებულნი დარაჯნი შემოერტყნენ ჩემს ბინას, ყოველს კარებში და ფანჯრებში მცველები დაუყენეს და რასაც მიზამდნენ, მგონი, ყველა წარმოიდგენს ამას. გაჩხრიკეს ყველაფერი: ლოგინების წალოები, კედლის განჯინები, მარანი, სახლის სხვენი, სათონე, საბძელი და საქონლის სადგომი ბინა; ჩხრეკავდნენ ყველაფერს და მეც თან დამათრევდნენ და თანაც მწყსიდნენ: „Это не подобаетъ вашему сану, вы возмущайте народъ противъ правительства, намъ все извѣстно“ და სხვა და სხვა. ეს არ მაკმარეს, ჩამათრიეს თბილისში და ვინ მოსთვლის რამდენ ადგილას გამატარეს ბერაში. ჟანდარმების სამმართველო, მაძებარი პოლიციაც და ყოველივე მაშინ მიჩვენეს. მე იმედი მაქვს ამას დაამოწმებს ან პირად და ან მოკლე წერილით რედაქციაში ის წამებული, რომელიც მე მყავს სახეში.

ბ. ბერიშვილო, თუ არ აასრულებთ ამ ჩემს წინადადებას, მაშინ მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ გაზეთის ფურცლებზედ უტყუარი ფაქტებით დავამტკიცო: ვინ არის ხალხის მოკეთე ან მჩაგვრელი, მე, თუ თქვენ და თქვენი დამქაშები.

თქვენ მიერ უსამართლოთ დევნილი მღ. ალ. ეპიტაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ჯარის კაცი სანდრო წრიალაშვილი მსახურებდა ავსტრიის ფრონტზე. წელიწადი გავიდა, რაც მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა. მისი მოხუცებული დედმამა სთხოვს ქართველ მხედრებს, თუ ვინმე რამე იცის მის შესახებ, გვაცნობონ შემდეგის მისამართით: თბილისი, ტუჩკოვის ქუჩა, № 4 სახ. კლიმიაშვილისა. ეს. გურასპაშვილს. ან გაზეთის შემწეობით.

შემოწირულებანი

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოთ მომხმარებელ საზოგადოებამ „მარტყოფ“-მა შემოსწირა ხუთი თუმანი.

—

ბ. ივანე თავართქილაძემ სამი თვით გაზეთი „საქართველო“ გაუწერა ბრძოლის ველზე მყოფ ქართველ ჯარისკაცებს.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:			
ბათუმისკენ	საფ. № 3,	11.08	დილ.
"	სამგზ. № 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ. № 19,	3.20	დღ.
"	" № 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ. № 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ. № 6,	9.20	დილ.
"	სამგზ. № 8,	3.54	დღ.
"	საფ. № 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ. № 4-3,	11.18	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	8 " 58 "	დილ.
თბილისში მოდის:			
ბათუმიდან	სამგზ. № 10,	7.51	დილ.
"	საფ. № 4,	8.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ. № 30,	7.48	დილ.
"	სამგზ. № 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ. № 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ. № 3,	10.08	დილ.
"	სამგზ. № 7,	4.12	საღ.
"	ჩქარ. № 5,	10.40	საღ.
თელავიდან	№ 8,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ. № 3***,	8.10	დილ.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელ საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოერიდოთ [illegible] ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაგიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდეთ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაგიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაგიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაგიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

შაბიამანი

და

საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე

ისყიდება

„კავკასიაში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში“.

თბილისი, დიდუბე, ქუთაისის ქ. 2.

(3—571—2)

თევზის მრეწველნი

ძმ. მეჯგველაძეები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნე“ ხიზილალა. მიიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

განცხადება

ვსთხოვ უმორჩილესად ჩვენი ადგილების მყიდველთ

საზურთალოზე „დიდი ნავენახარში“,

რომ ამ ერთი თვის განმავლობაში დღეის რიცხვიდან გაზწმინდონ ანგარიშები და დაიმტკიცონ კიდეც ადგილები.

ფული შემოიტანონ თბილისის სამეურნეო ბანკში, სადაც ჩემი კაცი მიიღებს და დამტკიცების ბარათს გადასცემს ნატარიუს ქართველოვს.

ფული მიიღება ყოველდღე 10—1 საათამდე, გარდა უქმეებისა. ვინც ამ ვადაში არ წარმოადგენს მთელ ფულს, რაცა ღირს მის მიერ დაბევებული სამოსახლო, ის მით პირობას არღვევს თანახმად ჩვენის პირველ განცხადებისა.

ვექილი თავის მამის ივანე ზაალის ძე სვანიშვილისა

აკაკი სვანიშვილი.

(10—598—8)

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმქა

გ. მ. მუხაძე

იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სასახლის ქუჩის კუთხეში, [illegible] პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

[illegible]

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრაზასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.

ტელეფონი „914“ და „606“

შეხვედრა

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

გ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბუთირსკის ქ. № 4. (ტ.— 203—)

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

[illegible]

კალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს [illegible] ქ. № 8.

ქარებს (რევმატიზმის),

ნეკრესის

თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „ურალდნალ“, და მაზი წასასმელი „ატრო“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურალდნალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურალნალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ზეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სუსუნატით (ცონორეა)

ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯულებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

„რეზუროლინი“

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ზეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „[illegible]“ [illegible]